

572 /
1964/2

1 9 6 4 8 3 0 0

საქართველოს
განმანათლებლო
მინისტრო

საბავშვო

№3





ახალი მეგობრები

მიხაილ ძალინიძე

რეზოს მშობლებმა ახალი ბინა მიიღეს. საცაა გადავლენ. დედას უხარია.

— თქვენ წარმოიდგინეთ, — ეუბნება იგი მეზობლებს, — სამოთხიანი ბინაა!

მამაც ნასიამოვნებია. მამას ის ახარებს, რომ მათი სახლის წინ ბაღია გაშენებული.

მარტო რეზოა უკმაყოფილო. რეზოს არ უნდა დაშორდეს თავისი უბნის ტოლამხანაგებს.

— ბიჭები იქაც არიან, — ამშვილებს მამა, — იმათთან ითამაშებ.

— როგორ ვითამაშებ, როცა მათ არ ვიცნობ, ისინი კი მე არ მიცნობენ, — ბუზღუნებს რეზო.

— მეტე რა მოხდა? გაიცნობ. — აიმედებს დედა.

რეზო თავისი მეგობრის მურას საძებნელად მიდის. მურას გრძელი წაბლისფერი ბეწვი აქვს და მუდამ კუდს იქნევს.

— თქვი, მურა, შენ გინდა ახალ ბინაში გადასვლა? — ეკითხება რეზო. — არა, ხოში?

— ამ! — უბასუხებს მურა.

— ასეც ვიცოდი. — ნაღვლიანად ამ-

ნახატი გ. პელოვანისა

ბობს რეზო. — არ გინდა შენს მეგობარ ძაღლებს ჩამოშორდე, არა?

— ამ! ამ! — ჰყეფს მურა.

— ჰმ... მეც არ მინდა, მაგრამ რას იზამ... — ამბობს რეზო და ძაღლს ეფერება.

და აი, გადასვლის დღეც დადგა.

ახალი სახლი მართლაც ღამაში გამოდგა.

მის წინ ბაღი გაეშენებინათ და ამ ბაღში ერთი ტოტეგბაშლილი მუხა იდგა. მუხას ფულურო ჰქონდა. ომობანას თამაშის დროს ამ ფულუროში საიმედოდ დამალვა შეიძლებოდა, მაგრამ რეზო მინც მოწყენილი იყო. ახალი სახლის შესასვლელთან იჯდა კიბის საფეხურზე და ბაღს გასცქეროდა. „ხეები ბლომადაა, მაგრამ ვის უნდა ვეთამაშო?“ — ფიქრობდა რეზო.

— მურა! — დაუძახა რეზომ, მაგრამ ძაღლი არ გამოეხმაურა.

რეზომ ერთ ხანს უცადა, მერე ისევ დაუძახა:

— მურა! მურა!

ძაღლი არ ჩანდა.



შეშვოთებულმა რეზომ დედასთან მი-
იღბინა.

— დედა, მურა ხომ არ გინახავს?
— ვნახე.—თქვა დედამ.—ქუჩაში მი-
ძუნძულვდა.

ქუჩაში მიძუნძულვდაო?
რეზო შურდულივით გაიჭრა სახლი-
დან.

რა იქნა ძალდი?
ის ხომ პირველადაა ამ უბანში! ვაი
თუ, შორს წავიდა და გზა აებნა?!

რეზომ ქუჩის გადასახვევამდე მიიღბი-
ნა და მიიხედ-მოიხედა.

ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ვილაღ
ბიჭი იღვა.

— მურა! მურა!—დაიძახა რეზომ.
ბიჭი იმწამსვე რეზოსთან გაჩნდა.

— რა იყო?—იკითხა მან,—ძალდს
ეძებ?

— ჰო,—უბასუხა რეზომ.—ჩვენ დღეს
ვადმოვედით ახალ ბინაში. მურა სადღაც
წავიდა და მგონი დაიკარგა. პირველა-
დაა ამ უბანში, მეშინია, გზა არ აებნეს.

— მე დათო მექვია,—თქვა ბიჭმა.—გინ-
და, ერთად მოვეძებნოთ. შენი ძალდი?

— გმადლობ,—უბასუხა რეზომ,—თუ
დამეხმარები, კარგს იზამ.


— მოდი, ამ ქუჩით წავიდეთ.—გა-
ნაგრძო დათომ,—ქ ერთი ადგილი ვი-
ცი, ხორცის მაღაზიასთან. ჩვენი უბნის
ძალდები სულ იქ იყრიან თავს.

ბიჭები ქუჩას გაპყვნენ. გზაში კიდევ
ერთი ბიჭი შემოხვდათ. ხელში ვაზეთში
ვახვეული პური ეჭირა და მადიანად
ილუკმებოდა.

— გამარჯობა, ოთარ!—მისვალმა და-
თო,—გეს რეზოა. ძალდი დაეკარგა და
სამებრად მივდივართ.

—მეც წამოვალ,—თქვა ოთარმა,—ცო-
ტა მომიცადეთ, პურს ავიტან შინ.

199



— მეც.—თქვა ოთარმა.
 — მე კი ცოტა მოშორებით, იმ ყვი-
 თელ შენობაში.—დაუმატა მზიამ.
 წამით რეზოს დაავიწყდა კიდევ თავი-
 სი გასაჭირი.
 — ჩვენს ბაღში ერთი მუხა ვიცი, ისე-
 თი კარგი ასაძრომია, წავიდეთ!—თქვა
 რეზომ და ბავშვები ბალისაკენ გაიქცნენ.
 უცებ რეზო შეჩერდა.
 — შეხედეთ!—შეჰყვირა მან და გუ-
 ლიანად გადაიხარხარა.
 ბალის ბილიკზე მისი ოთხფეხა მგეო-
 ბარი მურა დასკუბებულყო. მის წინ
 სამი უცნობი ძაღლი იჯდა. ერთი თეთ-
 რი იყო, მეორე შავი, მესამეს კი გრძე-
 ლი, ძირს ჩამოყრილი ყურები ჰქონდა.
 — ის თეთრი ჩემი ძაღლია!—დაიძახა
 დათომ.
 — შავი კი ჩემი!—თქვა ოთარმა.
 — გრძელყურა ჩემია!—წამოიყვირა
 მზიამ.

ცოტა ხნის შემდეგ ოთარმა მიიბრინა
 და სამივემ ხორცის მაღაზიისაკენ გას-
 წიეს. მურა არც იქ დახვდათ.
 მაღაზიასთან ქერათმიანი გოგონა. იღ-
 გა.

— მზიას სალაში!—მიესალმნენ დათო
 და ოთარი.—ეს რეზოა, ძაღლი დაკარ-
 გა და იმას ვეძებთ.
 — მე ვიცი სად იქნება შენი ძაღ-
 ლი.—უთხრა მზიამ რეზოს,—თუ გინდა
 მოგაძებნინებ.
 — გმადლობთ.—უპასუხა რეზომ.
 — ახალი სახლებისაკენ წავიდეთ. —
 თქვა მზიამ.—იქ ერთი ბაღია, ნამდვილად
 იმ ბაღში იქნება შენი ძაღლი.
 მურა არც იქ იყო.
 — სად უნდა წასულიყო?—შეწუხებუ-
 ლი რეზო თვალებს აქეთ-იქით აცვცებ-
 და და უცებ ნაცნობ შენობას მოჰკრა
 თვალი.
 — უყურე შენ! ეს ხომ ჩვენი სახლია!
 — აქა ცხოვრობ?—გაუყვირდა და-
 თოს,—მეც ხომ აქა ვცხოვრობ, შენს
 პირდაპირ, აგერ, იმ სახლში.

ბავშვებს გაეცინათ, ხელი ჩაჰკიდეს
 ერთმანეთს და ტოტებგაშლილ მუხას
 მიაშურეს.



ბარას შვეჩენაო

ჭადრის ძირას წყალი მოდის,
ხრამში ჩადის დაბლა,
გადაშლილი წყალთან წითლად
დგას მოცხარი მალლა.
მოცხართან რომ ჭადარია,
ისიც ამკობს არეს,
ირგვლივ ძეწონის ხეები
და ლერწმები მწვანე.

მოდის წყალი მუხნარიდან,
გადის მთების ქვემოთ,
ჭყუმბალობენ იხევი და
ვერხვებია ზემოთ.
დედა იხვი ამოცურდა,
ჭუჭულებიც ახლავს,
ლაქაშებთან იხვი ბალებს
აბაასებს ახლა.

თარგმანს სიმონ ჩიქოვანისა

სამცა

ოთარ კარაპა
მოქარგული თაღით
აგოშენეს სკადა.
ბარს რომ აქრავს ბადი,
სომ სჭირდება მოვლა?
ბოფი, თამრო, ესპი,
ასრულებენ სოტუას,
პირველკლასელებსაც
პრობა მღიფრ ბეიკვარს!

საქაძი

იორამ ჯამბავალია
ხერხეს, რანდეს, ბეღეს
ვაჭიკომ და ბეღამ.
გამოვიდა სკაძი,
გაუკვირდა შევლას.
გუჯაც ბქეს, ბეღაც,
გახარეს ამით,
მაგრამ... დავადა დათო
და ჩაიმტვრა სკაძი!



(ბავშვის ნამუშობი)

ე წყნარი ოკეანის სამხრეთით ვცხოვრობ, მარჯნის კუნძულ ფაკარავაზე.

სამი კვირის წინ მთელი ჩვენი ოჯახი მარგალიტის საძიებლად კუნძულ ტაკაპოტოს ახლოს მდებარე მეჩეჩისაკენ გაემართა. აი, ვინ და ვინ ვიყავით: მამა და დედა; ჩემი უფროსი დები—პუნა და ტირერე; სამი ძმა—ტიოტი, ბიბიტო და ხააბი; მე, ჩვენი ფინია და ორი კატა. როგორც ხედავთ, ჩვენს პატარა ნავეზე მგზავრები ბლომად მოვგროვდით.

კუნძულ ტაკაპოტოსთან ღუზაჩაშვებულ მრავალი გემი იდგა. მარგალიტის მყიდველი თურქანინი ვატრებიც იქ იყვნენ.

მეორე დღით მამამ, დედამ, ჩემმა უფროსმა დებმა და მე მეჩეჩისაკენ გავცურეთ. ტიოტი, ბიბიტო და ხააბი კი ნაპირზე დარჩნენ. ჩვენს დაბრუნებამდე ძაღლთან და კატებთან თამაშით უნდა შეექციათ თავიყველაზე ღრმა ადგილი ამოვარჩიეთ

და შევედუქეთ ნადირობას. პირველად მამამ და პუნამ ჩაყვინთეს, მერე—დედამ და ტირერემ.

მარგალიტის მაძიებლები ყოველთვის წყვილად ეშვებიან ხოლმე წყლის ფსკერზე.

მე ნავზე დავრჩი. ჩემი საქმე ნიჟარების გახსნა იყო. დანის პირს ნიჟარის სარქველებს შორის ვუყრიდი და ასე ვხსნიდი. მერე თითებს ფრთხილად ვუსვამდი ნიჟარას, რომ სადმე მარგალიტი არ მიმალოლიყო.

სამი კვირის განმავლობაში თითქმის არაფერი არ ამოგვიკრეფია წყლიდან. თუმცა ვატრებს ბევრი სადაფის ნიჟარა მიგვიღეთ,

მარგალიტის

მეძიებელი

ნახტი ქ. იხნავიძისა

მაგრამ სადაფი ჩვენში ხომ ძალიან იაფი ღირს.

მამა, დედა და ჩემი დები ძალიან დაილაღნენ მთელი ტანი მარჯნით ჰქონდათ დაკაწრული. ტირერე კინაღამ ზვიგენის მუსკელშიც კი მოხვდა. დედაჩემმა ორჯერ დაკარგა გრძნობა,—წყალში ღრმად ჩასვლა უჭირდა.

— დალახვროს ეშმაკმა! არაფერი გამოდის,—თქვა მამამ,—ხვალ შინ უნდა დავბრუნდე!

— ნება მომეცი, მამილო, ბედი მეც ცვალო,—ვთხოვე მამას,—მარტო ერთხელ ჩაყვინთავ!

ცურვა იმ დროს ვისწავლე, როცა ჯერ სიარულიც კი არ ვიცოდი და ქონის ირგვლივ მხოლოდ დაფორთხავდი. ყვინთავც






დიდი ხანია, რაც ვიცი. ფაქარაველი ბიჭ-
ბისათვის ყვინთვა უბრალო რამეა.

თორმეტი წლისა იმდენ ხანს ვჩერდებო-
დი წყალში, რამდენ ხანსაც თოთხმეტი
წლის ხაეა ტაბორო, რომელიც ჩვენს არქი-
პელაგზე საუკეთესო მყვინთავად ითვლება.
მაგრამ ჩვენებმა ამის შესახებ არაფერი
იცოდნენ.

მამამ კეფა მოიფხანა, დედამ კი ხმა -
მალალი ტირილი მორთო. მეც ავყევი ტი-
რილში და უფრო ხმამალა ავღრიალდი.

— კარგი, კატეკიტა, — მითხრა ბოლოს
მამამ, — მეც შენთან ერთად ჩამოვალ წყალ-
ში. მაგრამ იცოდე, რომ ერთ წუთზე მეტი
არ გაჩერდე! როგორც კი ნიშანს მოგცემ,
უნდა ამოხვიდე!



ქმეპი

2. ჩაკალილი

ნახატი ზ. შორჩხიძისა

გუშინ დედამ ზურიკოს და გურამს ფილმოსკოპი მოუტანა.

ერთ საღამოს უფროსმა ძმამ ზურაბმა პატარა მაგიდაზე ფილმოსკოპი დადგა, კედელზე თეთრი ფარდა გააქრა და მაყურებლებს უთხრა:

— ახლა თქვენ ნახავთ ახალ ფერად კინოფილმს.

ოთახში მაყურებლები ბლომად იყვნენ: ბებია, მეზობლის ბავშვები, ცუგო და ფისო. ვოგია ცხენზე შესკუბებულიყო, ნანას მკლავზე თოჯინა მიეძინებინა.

უცებ ზურაბი ფილმოსკოპს გამოედო, მაგიდა აყირავდა და ფილმოსკოპი ძირს დაენარცხა.

— ვაი!—წამოიძიხა ზურაბმა. მერე დაზიანებული ფილმოსკოპი ისევ მაგიდაზე დადგა. დიდხანს სინჯა, და როცა ვერა-

ფერი მოუხერხა, გურამს ჩასჩურჩულა:

— გურამ, შენ ხომ შოკოლადი გიყვარს?

— მიყვარს, მერე რა?

— დედა რომ მოგცემს, ჩემს შოკოლადსაც შენ დაგიტომბ.

— რათა?

— ოღონდ თქვი, რომ ფილმოსკოპი შენ გაგიტუდა.

— ერთი უყურე, შენ გატეხე და მე დავიბრალო?

— დედა მე დამსჯის, შენ კი პატარა ხარ და გაპატიებს, გაიგე?! გეხვეწები, თუ ჩემი ძამიკო ხარ!

— ბიჭო, დიდი იმიტომა ხარ, რომ ტყუილები მასწავლო!

ზურაბი გაჩერდა და ველარაფერი თქვა.





გადაუღეს ფანდები

ბულგარული ზღაპარი

მელაკულა და ზღარბი დამოხილდნენ. სადაც ზღარბი წავიდოდა, მელაკ უკან მიჰყვებოდა, სადაც მელა წაცუნტულდებოდა, ზღარბი კვალდაკვალ მისდევდა. სულ ერთად იყვნენ.

ერთხელ მელამ უთხრა ზღარბს:
— წამო, ძამიკო, ვენახში გადავიპაროთ!
— წამოსვლით წამოვიდოდი, მაგრამ ყარაულისა მეშინია, — უპასუხა ზღარბმა.

— აი, შე მშინიარა! რისა გეშინია, მეც ხომ შენთან ვიქნები. ჩემი იმედი გქონდეს, მე სამას სამოცი ფანდი ვიცი! შენა?

— მხოლოდ სამი, მაგრამ სამივე საიმედოა.

— მაშ, წავიდეთ! — უთხრა მელამ.

შემპარნენ ვენახში და ყურძენს მიაღვდნენ.

— უმ, რა ტკბილია! — თქვა მელამ. — აქეთ მოდი, ძამიკო, აქ ძალიან მწიფე ყურძენია.

— არც აქ არის მაგაზე ნაკლები, ჩემო დაიკო.

— შეხე რა ქარვასავით მტვერები ჰკილია. რა კარგი სუნია აქვს!

ვერ მოასწრო მელამ ამის თქმა, რომ უცბად — წაკაპ! — და ხაფანგში გაება.

— ვაი, ვაი, მიშველე ძამიკო! — შეხება მელამ. — ერთ-ერთი შენი ფანდი მასწავდე!

— რას ამბობ, მელავ, ჩემგან რა გესწავლება? შენ სამას სამოცი ფანდი იცი, მე კი მარტო სამი.

— ემ, ბარემ ვიცოდი, ძამია ზღარბო. მაგრამ ხაფანგმა რომ წკაპანი გაადინა ყველა ფანდი გადამაფიცლა.

— რა გაეწყობა, გასწავლი, — უთხრა ზღარბმა. — ყარაული რომ მოვა, თავი უწყინრად მოაჩვენე, კული გააქიცი, ლაქუცი დაუწყე. იმას ეგონება, რომ მოშინაურებული ხარ, და არ მოგკლავს, მერე კი ადევს და გაიქცე. აბა, ნახვამდის, ტყეში დაგედლოდები!

ზღარბი წავიდა. ყარაული თავს წაადგა მელას და შესძახა:

— ეგეც შენ, გაები თუ არა მახეში!

მეორე კული ააქიცი, ლაქუცი დაუწყე.

— ეტყობა, მოშინაურებულია! — თქვა ყარაულმა.

წაიყვანა მელია, ხეზე დააბა და ვენახში დაბრუნდა.

მელამ კი თოკი გადალრღნა და გაიქცა. მეორე დღეს მელამ ზღარბს უთხრა:

— წამო, ძამიკო, ვენახში წავიდეთ!

— რას ამბობ, მელავ, ხაფანგი დაგაფიცდა?

— არაფერია, — უპასუხა მელამ, — მე არაფერია არ მეშინია. ჩემი სამას სამოცი ფანდი მომაგონდა. ორივეს გვეყოფა.

— კარგი, წავიდეთ! — უპასუხა ზღარბმა. მაგრამ შედგეს თუ არა ფეხი ვენახში, —

წყაპი—და ისევ ხაფანგში გაება მელა.

— ვაი, ვაი, ძამიკო ზღარბო, გასწეწები, მეორე ფანდი მითხარი!

— აბა, როგორ უნდა გითხრა, მელავ, ორად ორლია დაშრია, შენ კი სამას სამოცი იცი.

— აღარც ერთი არ მახსოვს, გამწიფე ძმობა, ერთი კიდევ მითხარი და გადამარჩინე!

შევიღლა ზღარბს მელია და მეორე ფანდიც უთხრა:

— ყარაული რომ მოვა, თავი მოიმკვდარუნე. ერთი-ორგერ ფეხს წაგკრავს, მერე ხელს ჩაგავლებს და სანაგვეზე გადაგადგებს, შენ კიდევ წამოხტო და მოჰკურცხლე.

წავიდა ზღარბი. მოვიდა ყარაული, დაინახა მელია და შეხმანა:

— ხომ ისევ გაები, მელავ! ახლა კი გჩვენებ ხეირს!

ერთხელ წაჰკრა ფეხი, მეორედ. მელა არ გაინძრა.

— ჩამრძვალა!—თქვა ყარაულმა და შინ წაიღო მელია.

ეზოში რომ შევიდა, ცოლს ახარა:

— დეჰაკაცო, გამოდი, ნახე ერთი, რა კარგი საყელი მოგიტანე ქურქისათვის!

მელია კუნძზე დააგდო და დანის გამოსატანად წავიდა, რომ მელია გაეტყავებინა. ვაშოვიდა ცოლი გარეთ, მიიხედ-მიიხედა, მაგრამ გერაფერი დანახა. მოვიდა ყარაულიც და დანის ღეხვა დაიწყო.

— კაცო,—უთხრა ცოლმა,—ეგ რანაირი ხუმრობაა! სად არის საყელი?

— აი, იმ კუნძზე დევს.

— იქ არაფერიც არ არის.

გაიხედა ყარაულმა—მელია აღარსად ჩანს.

— გამპარვია! დამაცადოს, კიდევ ჩამივარდება ზღელში!

გავიდა ხანი. მელა ისევ ატყდა:

— წამო, ზღარბუნა, ვენახში ჩავიდეო!

— ხომ არ გაგვიფი, მელავ! ხაფანგი დაგვიწუდა?

— ახლა ფრთხილად ვიქნები, ჩემი ფანდიც მომაგონდა.

ზღარბი დათანხმდა. მივიდნენ ვენახთან, მაგრამ დანახეს, რომ გარშემო თხრილი შემოუვლიათ. მელამ ისკუპა და გადახტა. ზღარბმა ისკუპა და პირდაპირ თხრილში მოაღინა ტყაპანი.

— ჩემო მელავ, გენაცვალე, ამოიყვანე!—შეევეღრა ზღარბი.—ერთ-ერთი შენი ფანდი მასწავლე.

— რა ექნა, ჩემო ზღარბუნა, გასწავლიდი, მაგრამ აღარც ერთი ფანდი არ მახსოვს, უკვლა დამივიწყდა.

— მაშ დავდუბულგარ და ეგ არის!—თქვა ზღარბმა.—ჩემი აღსასრული მოსულა, რახან ანეა მოდი, დღიკო, ერთმანეთს გამოვიმშვიდობოთ.

ახლოს მოდი, დაინახე, განშორების წინ ერთმანეთი გადავკოცნოთ.

მელია დანახა, ზღარბმა კი დინგში ჩასტიდა თათები. მელია უტეხ უკან გადახტა და ძალაუნებურად ამოათრია ზღარბიც, რომელიც მაგრად ჩასტილებოდა მელას და არ უშვებდა.

ამ დროს ყარაული გამოჩნდა. მელამ ზღარბიანად მოჰკურცხლა.

ტყეში რომ შევიდნენ, ზღარბმა თათები შეუსვა მელას და უთხრა:

— მშვიდობით, მელავ! ახლა კი გავიგე რა მეგობრობაც გცოდნია. შენი ფანდები შენთვის შეინახე. მე მხოლოდ სამი ფანდი ვიცი, მაგრამ სამაგიეროდ არც ერთი არ მიმტყუნებს!

თარგმანი დ. დეკანოზოშვილისა
ხანატები ვ. გელქივილიისა



ღეღე

ლილა ვარძი



ნინო ოთხი წლის არის. მისი ძმა ნუგზარი კი დიდი ბიჭია, სკოლაში დადის. ნუგზარი სკოლაში გერმანულ ენას სწავლობს. ერთ დღეს იფიქრა, მოდი, ნინოსაც ვასწავლიო და გოგონა გვერდით მოისვია. ჯერ ასწავლა ღეღას რა ერქვა გერმანულად, მერე— მამას, ოთახს, კედელს, ბალს.

რამდენიმე დღის შემდეგ ნუგზარმა გადაწყვიტა, სულ პირველად რომ ვასწავლე ის სიტყვები თულა ახსოვსო და დაიკოს ჭკი-თხა:

- აბა, ნინო, მითხარი, „ღეღა“ როგორ არის გერმანულად?
- ღეღა?—თქვა გოგონამ და გაჩერდა.
- ნინო, აბა, გაიხსენე!
- ღეღა?!
- ჰო, ღეღა, ღეღა როგორ არის?
- ღეღა კარგად არის!—მოიფიქრა უცებ ნინომ.

ნახატები მ. როინიშვილისა

ლავით ხარკოძე

ლოკოკინა

გამოსულა ლოკოკინა,
ზურგით მოაქვს თავის ბინა,
ხან უღვაშებს იმვერს წყვილად,
თუ დაუხვდა რამე წინა
იმალება პაწაწინა.



აიჭუნა

სანახავად მიდიან
გოგონები, ბიჭები;
ჩვენს ნინიკოს ამოსვლია
თაგუნისა კიჭუპი!

ბავშვებო, მე-15—მე-16 გვერდი წითელ ხაზზე გადაჭე-
როთ და ისე დაკეცეთ, რომ პაწაწინა წიგნი მიიღოთ.




მათონია დრუნჩასა
ერბო მერგო ქარვისა,
რა გინდ ბევერი მესვენლოთ,
არ ღვავითმოთოთ არვისა!

მერე ისევ გზაზე
ლილიანებდა ასე:



— ღოთუნია დრუნჩასა
ერბო მერგო ქარვისა,
რა გინდ ბევერი მესვენლოთ,
არ ღვავითმოთოთ არვისა!

მერე ისევ გზაზე
ლილიანებდა ასე:



მათონია დრუნჩასა
ერბო მერგო ქარვისა,
რა გინდ ბევერი მესვენლოთ,
არ ღვავითმოთოთ არვისა!



მათონია დრუნჩასა
ერბო მერგო ქარვისა,
რა გინდ ბევერი მესვენლოთ,
არ ღვავითმოთოთ არვისა!

მათონია დრუნჩასა
ერბო მერგო ქარვისა,
რა გინდ ბევერი მესვენლოთ,
არ ღვავითმოთოთ არვისა!

მათონია დრუნჩასა
ერბო მერგო ქარვისა,
რა გინდ ბევერი მესვენლოთ,
არ ღვავითმოთოთ არვისა!



კონსტინე

1

ერთი ზურის მარცვლი ვეგო მარა-
ზე; ვერც ხორში იბოვა, ვერც თავებში,
ვერც ჭიანჭველამ, კაცმა იბოვა.

ერთმა კაცმა იბოვა,
მეორე კაცმა დათესა,
მესამე კაცმა მოსკა,
მეოთხე კაცმა გადუნა,
მეხუთე კაცმა წისქვილი წაიღო,
მეექვსე კაცმა დაჟღება,
მეშვიდე კაცმა ზური გამოაცხო,
მერვე კაცმა გაუიდა.
მეცხრე კაცმა იუდა და შინ წაიღო.

სახლში ამ კაცს პატარა შვილი
ბუბუდა და ზური იმას მიუტანა. ბიჭმა
მოიტყუა ზური, ჭამა, ჭამა, ჭამა და
რაც დარჩა, გადაუგდო. გადაუგდო და
სათამაშოდ გადაქცა. ზური მიწასე და-
ვარდა, გაბოროდა, გამოკოროდა და თქვა:
— ცხრა კაცმა მომიარა, მეათე უმა-
ღურმა კი გადამაგდო!

ბიჭმა სმა გაიკოინა, მიიხედ-მოიხედა,
გარშემო აზრავს არ იყო.

— ამ პატარა კაცმა რომ იცოდეღეს,
რამდენი რამის მინახული იარ, არ ჭრამბუ-
ღებოდა, — წაიპურღლეუნა ზურის ნატყისმა.

ბიჭმა კიდევ მიიხედ-მოიხედა და ვე-
რაინ რომ ვერ დინახა, ზურს შეკვი-
თხა.

— შენ თქვი რამე?
— ზო, მე ვთქვი, — უპასუხა ზურის
ნატყისმა.



ბიჭის ხეობა

ბიჭმა ბილი ზურის ნატყი. უბრა-
ლო ზურის ნატყი იყო, ცოტა
მიწვარიც კი ჰქონდა გვერდი.

— ზურის მარცვლი ვიეხე და მა-
რასე ვეგდე, — უთხრა ზურმა ბიჭს, —
ერთმა კაცმა მიბოვა,
მეორე კაცმა დათესა,
მესამე კაცმა მოსკა,
მეოთხე კაცმა გაბლუნა,
მეხუთე კაცმა წისქვილი წაიღო,
მეექვსე კაცმა დაწვეა,
მეშვიდე კაცმა გამოაცხო,
მერვე კაცმა გაუიდა,
მეცხრე კაცმა მიუიდა და მეათესთან
წაიღო.

მეათე კაცმა რაც შეწყება — შეწყება,
რაც არა და, მისროლა და შტვერში
გადამაგდო. მეათე შენა ხარ!

— არა, — უთხრა პატარა ბიჭმა, —
მე არ გადაუგადებ, — სული შეუბურა
ზურის ნატყის და აბუბო ჩაიღო.



სახატბო 2. კანკანისა

ბიჭის ხეობა

მზე ამ წუთას ამოვიდა,
ვერზე ცვარი იწყებდა ციმციმს;
ვაქოთ დიღა. კარგი ფიჭვი,
კარგი საჭმე დიღამ იციის.


აი, აგვი გიას ბაბუ...
რა ხალისით ბარავს ბარას!
გიაც ბარავს, თუმცა მისი
ნაბარავის კვლიც არ ჩანს.

რა ჰქნას, ჯერ ხომ პატარაა,
სამის გახდა ამას წინათ,
ხელი აქვს ბარი ერთი ციდა,
ერთი ციკუნა, პაწაწინა!

მაგრამ რადგან თავის ბაბუს
მხარს უმშვენიერს და შეუბარის,
რადგან მრომის სურვილი აქვს,
გვეყავს ამითაც სატებარი!

699/76

ИНДЕКС
76055



1. „ზანგი ბიჭუნა“—ნახატი გიორგი ფედეასი, 9 წლის, (თბილისი)

2. „და-ქმა“—ნახატი ლალი ზვადიაძისა, 7 წლის, (ტყემული)

3. „ეზო“—ნახატი თამაზ გულაშვილისა, 7 წლის (თბილისი)

4. „ირემი“ — პლასტილინი. ნაძერწი მანანა ვაჩიშვილისა, 8 წლის (თბილისი)

5. „ფოფონა“—ნახატი რუსულან შამულაშვილისა, 6 წლის, (თბილისი)

6. „ზამთარი“—აპლიკაცია მარინე შოქდერეშვილისა, 6 წლის, (სოხუმი)

7. „შატარბელი“—აპლიკაცია მერაბ მირცხულავასი 5 წლის, (თბილისი)

